

# BAG

## ინდუსტრი

რუსეთ-უკრაინის  
ომის გავლენა  
BAG ბიზნეს კლიმატზე



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია  
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA



Leibniz Institute for Economic Research  
at the University of Munich




Research

# რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა BAG ბიზნეს კლიმატზე

2022 წლის II კვარტლის გამოკითხვაში, ბიზნესზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შესაფასებლად BAG ინდექსის კითხვარში დამატებითი კითხვები ინტეგრირდა.

## რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა ბიზნესსაქმიანობაზე

2022 წლის II კვარტალში გამოკითხულ კომპანიათა ძირითადი ნაწილის (62%) განცხადებით, რუსეთ-უკრაინის ომმა ან/და რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა მათი კომპანიის ბიზნესსაქმიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, ხოლო 12% აცხადებს, რომ ეს გავლენა ძალიან უარყოფითია. გამოკითხულ კომპანიათა 22%-ის აზრით კი რუსეთ-უკრაინის ომს ან/და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს არ ჰქონია გავლენა მათ ბიზნესსაქმიანობაზე. მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ ეს გავლენა დადებითი იყო.




გრაფიკი 1: რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ზემოქმედება ბიზნესსაქმიანობაზე

სექტორებს შორის, რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა ყველაზე უარყოფითი ვაჭრობის სექტორისთვის აღმოჩნდა. სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 71%-მა განაცხადა, რომ გავლენა მათ ბიზნესსაქმიანობაზე იყო უარყოფითი, ხოლო 11%-ის განცხადებით – ძალიან უარყოფითი. სექტორებს შორის, ომის გავლენა ყველაზე ნაკლებად უარყოფითი მომსახურების სექტორისთვის აღმოჩნდა (61%-სთვის უარყოფითი გავლენა იქონია, ხოლო 4%-სთვის ძალიან უარყოფითი).

## რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციებით განპირობებული ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორები

რუსეთ-უკრაინის ომით ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციებით გამონვეულ იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედა ბიზნესსაქმიანობაზე, 2022 წლის II კვარტალში გამოკითხულ კომპანიათა მიერ ყველაზე ხშირად იქნა დასახელებული მსოფლიო ბაზარზე წარმოქმნილი ლოჯისტიკური პრობლემები (იმ გამოკითხულ კომპანიათა 72%-მა დაასახელა, რომელმაც დააფიქსირა რომ რუსეთ-უკრაინის ომმა მათ ბიზნესსაქმიანობაზე უარყოფითად იმოქმედა), რასაც მოჰყვა შუალედურ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები (56%), შეჩერებული იმპორტ- ექსპორტი უკრაინასთან (48%) და გართულებული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან (39%).



**გრაფიკი 2:** რუსეთ-უკრაინის ომით ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციებით გამოწვეული ფაქტორები, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედა ბიზნესსაქმიანობაზე

ვაჭრობის სექტორში ბიზნესსაქმიანობის ხელის შეშლელ ომით გამოწვეულ ფაქტორებს შორის, ყველაზე ხშირად, მსოფლიო ბაზარზე წარმოშობილი ლოჯისტიკური პრობლემები დასახელდა (90%), ყველაზე იშვიათად კი გართულებული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან (41%).


მომსახურების სექტორში, ვაჭრობის სექტორის მსგავსად, ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი მსოფლიო ბაზარზე წარმოქმნილი ლოჯისტიკური პრობლემები (57%) აღმოჩნდა, ყველაზე იშვიათად კი რუსეთთან გართულებული სავაჭრო ურთიერთობები დასახელდა (33%).

რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, ყველაზე ხშირად დასახელდა შუალედურ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები (78%) და მსოფლიო ბაზარზე წარმოშობილი ლოჯისტიკური პრობლემები (78%), იშვიათად - გართულებული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან (33%).

მრეწველობის სექტორში, ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი უკრაინასთან შეიწვებული იმპორტ-ექსპორტია (82%), ხოლო შედარებით იშვიათად დასახელებული ფაქტორებია - შუალედურ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები (55%) და გართულებული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან (55%).

## გართულებული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან

2022 წლის II კვარტალში გამოკითხულ იმ კომპანიებს შორის, რომლებმაც ხელის შეშლელ ფაქტორებს შორის რუსეთთან გართულებული სავაჭრო ურთიერთობები დასახელეს, ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზად, ყველაზე ხშირად, ფულადი ანგარიშსწორების პრობლემა დაფიქსირდა (68%), რასაც მოსდევს გართულებული ლოჯისტიკა, მათ შორის ტვირთის დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები (58%) და რუსეთის მიერ ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები (39%). რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გართულების შესაძლო განმაპირობებელ ფაქტორებს შორის, ყველაზე იშვიათად, რეპუტაციული პრობლემები (26%) და სავაჭრო პარტნიორების სანქცირებულთა სიაში მოხვედრა (19%) დასახელდა.



**გრაფიკი 3:** რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გართულების შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები

სექტორებს შორის, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გართულების შესაძლო განმაპირობებელ ფაქტორებს შორის, ფულადი ანგარიშსწორების პრობლემა პროცენტულად ყველაზე მეტად, მშენებლობის სექტორში (100%) დაფიქსირდა. აღნიშნული პრობლემა ყველაზე ნაკლებად მომსახურების სექტორში გამოიკვეთა (60%).


გართულებული ლოჯისტიკა, მათ შორის ტვირთის დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები, მშენებლობის სექტორში გამოკითხულმა ყველა კომპანიამ დაასახელა, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში კი 50%-მა. რუსეთის მიერ ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები, ყველაზე ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდა მომსახურების სექტორისთვის (20%), ხოლო შედარებით მწვავე - მშენებლობის სექტორისთვის (67%).

რეპუტაციული პრობლემები, როგორც რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გართულების შესაძლო მიზეზი, ყველაზე ხშირად მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (67%), ხოლო მრეწველობის სექტორში საერთოდ არ დასახელებულა.

სანქცირებულთა სიაში სავაჭრო პარტნიორების მოხვედრა განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა მომსახურების სექტორისთვის (40%), მშენებლობისა და მრეწველობის სექტორებში გამოკითხული კომპანიებისთვის კი საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას.

### **რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა პროდუქციის/მომსახურების ფასებზე**


2022 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების ძირითადი ნაწილი (46%) ფიქრობს, რომ რუსეთ-უკრაინის ომს ან/და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მოკლევადიან პერიოდში მათი პროდუქციის/მომსახურების ფასებზე გავლენა არ ექნება. გამოკითხულთა 39% კი ფასების ზრდას ვარაუდობს, ხოლო 3%-ის აზრით ფასები ძალიან გაიზრდება.



**გრაფიკი 4:** რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა პროდუქციის/მომსახურების ფასზე მოკლევადიან პერიოდში

სექტორებს შორის, რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო, ფასების ზრდის მოლოდინი განსაკუთრებით მაღალია ვაჭრობის (52%-ის აზრით ფასები გაიზრდება) და მშენებლობის (45%) სექტორებში, ყველაზე დაბალი კი მომსახურების სექტორში (35%).


იმ კომპანიებს შორის, რომლებსაც მოკლევადიან პერიოდში ფასების ზრდის მოლოდინი აქვთ, ფასების მოსალოდნელი ზრდა უმრავლესობისთვის (73%) 1-20%-ს შორის მერყეობს, 23%-ისთვის აღნიშნული შუალედი 21-40%-ია. ფასების 60%-ზე მაღალ ზრდას არცერთი გამოკითხული კომპანია არ ვარაუდობს.



**გრაფიკი 5:** პროდუქციის/მომსახურების ფასის მოსალოდნელი ზრდა

### **რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობაზე**


2022 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა (85%) ფიქრობს, რომ მოკლევადიან პერიოდში რუსეთ-უკრაინის ომს ან/და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მათ კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობაზე გავლენა არ ექნება. გამოკითხულთა მხოლოდ 8% ვარაუდობს შემცირებას, ხოლო 1% ძალიან შემცირებას.



**გრაფიკი 6:** რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობაზე

სექტორებს შორის, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორში მოელიან (28%-ის აზრით მოკლევადიან პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდება), ხოლო ყველაზე ნაკლებად ვაჭრობის სექტორში (3%).


იმ კომპანიებს შორის რომლებსაც მოკლევადიან პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების მოლოდინი აქვთ, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება უმრავლესობისთვის (67%) 1-20%-ს შორის მერყეობს, 25%-ისთვის აღნიშნული შუალედი 21-40%-ია, ხოლო 11%-ისთვის 41-60%. დასაქმებულთა რაოდენობის 60%-ზე მაღალ კლებას არცერთი გამოკითხული კომპანია არ ვარაუდობს.



**გრაფიკი 7:** დასაქმებულთა რაოდენობის მოსალოდნელი შემცირება

**რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა კომპანიის შემოსავლებზე**


2022 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების ძირითადი ნაწილი (59%) ფიქრობს, რომ რუსეთ-უკრაინის ომს ან/და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მათი კომპანიის შემოსავლებზე გავლენა არ ექნება. 25% ფიქრობს რომ შემოსავლები შემცირდება, 2%-ის აზრით კი ძალიან შემცირდება.



**გრაფიკი 8:** რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა კომპანიის შემოსავლებზე

სექტორებს შორის, შემოსავლების შემცირებას ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორში მოელიან (39%-ის აზრით მოკლევადიან პერიოდში შემოსავლები შემცირდება), ხოლო ყველაზე ნაკლებად მშენებლობის სექტორში (18%).


იმ კომპანიებს შორის, რომლებსაც მოკლევადიან პერიოდში შემოსავლების შემცირების მოლოდინი აქვთ, შემოსავლების შემცირება ძირითადად 1-20%-ს შორის მერყეობს (58%), 29%-სთვის აღნიშნული შუალედი 21-40%-ია, 8%-სთვის 41-60%, ხოლო 4%-სთვის 81-100%.



**გრაფიკი 9:** კომპანიის შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება

## რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა კომპანიაში დაგეგმილ ინვესტიციებზე

2022 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა (70%) ფიქრობს, რომ რუსეთ-უკრაინის ომს ან/და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს კომპანიაში დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელებაზე გავლენა არ ექნება. 17% კი ფიქრობს, რომ დაგეგმილი ინვესტიციები შემცირდება.




**გრაფიკი 10:** რუსეთ-უკრაინის ომის ან/და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გავლენა კომპანიაში დაგეგმილ ინვესტიციებზე

სექტორებს შორის, ინვესტიციების შემცირების მოლოდინი შედარებით მაღალია მრეწველობის სექტორში (36%), ხოლო ყველაზე დაბალია მომსახურების სექტორში (11% ელის შემცირებას).

## ომამდელი მდგომარეობის აღდგენა

გამოკითხულ კომპანიათა შორის, რომელმაც ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა, 34% მიიჩნევს, რომ ომამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაღწევად 1-2 წელი დასჭირდებათ, 27%-ის აზრით აღდგენისთვის 1 წელზე ნაკლებია საჭირო, გამოკითხულთა 6% ფიქრობს, რომ ომამდელ მდგომარეობამდე მისაღწევად 3-5 წელი დასჭირდებათ, ხოლო აღდგენისთვის 5 წელზე მეტი დროის საჭიროება არ დაფიქსირებულა. ასევე, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ კომპანიათა ნაწილისთვის (33%) მდგომარეობა ახლაც სტაბილურია.


**ომამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაღწევად საჭირო დრო კომპანიისთვის:**



**გრაფიკი 11:** ომამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაღწევად საჭირო დრო კომპანიისთვის

სექტორებს შორის, სტაბილურობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ვაჭრობის სექტორში (48%), ხოლო ყველაზე დაბალია მრეწველობის სექტორში (მხოლოდ 11% მიიჩნევს, რომ მათი კომპანიის მდგომარეობა ახლაც სტაბილურია). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის სექტორში გამოკითხული კომპანიებიდან არცერთი არ მიიჩნევს, რომ ომამდელ მდგომარეობამდე დასაბრუნებლად 2 წელზე მეტია საჭირო.





## კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

[www.bag.ge](http://www.bag.ge)